ერი

ყოველდღიური გაზეთი

№ 37

წელიწადი პირველი 1913

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით. . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . 4 აბაზი

ცალკე ნომრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

კვირა, 15 დეკემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „Е Р И“ Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.

პაიებზე დამყარებული ამხანაგობა

„ს. მ. კირაკოზოვი და ბ. გ. ოგანოვი“

ქალაქ ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩა, საკუთარ სახლებში.

მხოლოდ 11 დღით

ნიშნავს საშობაო იაფ-ვაჭრობას

დარჩენილ სეზონის საქონლებისა

10, 11, 12, 13, 14, 16, 17, 18, 19, 20 და 21 დეკემბერს 1913 წ.

აბრეშუმის განყოფილება:

აბრეშუმის მატერიები ტანსაცმელებისთვის და ბლუზებისთვის არშ. დაწყ.	30 კ.	და ზევით.
აბრეშუმის მატერიები ქვედა იუბკებისთვის (კანაუსები და ბურსოები) ყოველნაირი ფერის საუკეთესო ღირსებისა დაწყებული . .	55 კ.	—
აბრეშუმის დამასკ. როდომე და სარჟები ყოველნაირი ფერისა სარჩულისთვის არშინი დაწყებული	35 კ.	—
აბრეშუმის ველვეტები უცხოეთისა და რუსეთის ქარხნებისგან და აგრეთვე მანჩესტერები არშინი დაწყებული	50 კ.	—
აბრეშუმის სასაბნე საპირეები ბუხარიისა და სამარყანდის და აგრეთვე ატლასების ცალი დაწყებული	5 მ.	და ზევით.
შალ-აბრეშუმეული მატერიები სახიანი და სადა ორგანი და ფერადი ყოველნაირი არშინი დაწყებული	70 კ.	

შალეულობის განყოფილება:

შიფონები შალეულობის უცხოეთისა და რუსეთის საუკეთესო ქარხნებისგან ორგანიანი ყოველნაირი ფერის დაწყებული . .	75 კ.	და ზევით.
შალეულობის მატერიები ინგლისურ კასტიუმებისათ. ორგანიანი არშინი დაწყ.	50 კ.	—
შალეულობის ფორმის მატერიები ყველა სასწავლებლ. ორგანიანი არშ. დაწყ.	30 კ.	—
შალების მუსილინები უცხოეთისა და რუსეთის ქარხნებიდან არშ. დაწყ.	30 კ.	—
შალების მუარი, ქვედა იუბკებისთვის არშინი დაწყებული . .	30 კ.	—
შალეულობის მატერია ორგანიანი სახიანი და სადა არშინი . .	23 კ.	—

მაუდეულობის განყოფილება:

პლიუშები უსახო აბრეშუმის და შალეულობის საპალტოეთ არშინი დაწყებული	1 მ. 40 კ.	და ზევით.
პლიუშები სახიანი ქალებისა და ბავშებისთვის საპალტოეთ არშინი დაწყებული	95 კ.	—
ლიუშები ავეჯეულობისთვის და სასარჩულე არშინი დაწყ. .	90 კ.	—
შალის კარაკულის მზგავსი ბუკლე შავი ყველა ფერადი მატერია არ. დაწყებული	2 მ.	—
დრაფები დიდებისა და ბავშებისა პალტოებისთვის ყოველნაირი ფერისა არშინი დაწყებული	1 მ. 80 კ.	და ზევით.
დრაფები ქალების პალტოებისთვის ფერადი, თავისივე სარჩულით არშინი დაწყებული	1 მ. 90 კ.	—
დიოგენალები შალეულობის საზამთრო დემი-სეზონისა და საზაფხულო ორგანიანი 2 არშინი სიგანე არშინი . . .	1 მ. 60 კ.	—
კასტორები და შევიოტები მამაკაცებისთვის ორგანიანი შავი და ფერადი 2 არშინიანი, არშინი დაწყებული . . .	1 მ. 40 კ.	—

ტრიკოები საკასტუმე და საზამთრო უცხოეთისა და რუსეთის ქარხნებისაგან ორგანიანი 2 არშინი სიგანე არშ. დაწყებული . .	80 კ.	და ზევით
ყოველნაირი შალეულობის მატერიები სამხედრო უწყებისათვის სანჯანი და ხაკის ფერი, ყოველნაირი ფორმის საქონლის მატერიები ყველა უწყების სასწავლებლებისათვის 2 არშინიანი არშინი დაწყებული	60 კ.	და ზევით
თფილი პლიუშების, ბაიკების, ბამბეულობის საბნები დიდებისა და ბავშებისათვის ცალი დაწყებული.	1 მ. —	და ზევით
პლედები და თავშლები უცხოეთისა და რუსეთის ქარხნებისაგან ც. დაწყ.	3 მ.	—
ხალიჩები ხავერდისაგან ცალი	2 მ. 10 კ.	—
შალეულობის დრაპრები (აკოშკების და კარების საფარები) ნაქარგი და სახიანი ყოველნაირი ფერის დაწყებული ცალი. . . .	5 მ. —	და ზევით
პლიუშების სუფრები ნაქარგი და სახიანი ცალი დაწყებული .	4 მ. —	—
ფეხსავალი მატერიები ხავოიანი და ჩუქურთმიანი არშ. დაწყებული .	— 18 კ.	—

ცილოულობის განყოფილება.

გრინსბონი: სლავიანების, ინგლისელებისა და ტიროლისა, ბამბეულობა, ლანკორდი და მიტკლები არშინი დაწყებული. . . .	09 კ.	და ზევით
პიკეინი და ნაქსოვი საბნები ვაჟებისა და ბავშებისათვის ცალი .	1 მ. 10 კ.	—
ტიკები მატრასებისათვის ტილეულობისა და ბამბ. 2 გ. ცალ-გან არშინი დაწყებული	12 კ.	და ზევით
პირსახოცები ფერადი და თეთრი	20 კ.	—
ცხვირსახოცები დუჟინი დაწყებული . . . , . . .	1 მ. 20 კ.	—
პრიბორი თეთრი დაწყებული	3 მ.	—

ბამბეულობის განყოფილება.

სატინა სახიანი და სადა, ყოველნაირი ფერისა არშინი დაწყებული .	17 კ.	და ზევით
შემიზები ინგლისის, ტილოულობა ზოლიანი და კუბოკრული არშინი დაწყებული.	13 კ.	და ზევით
ოკსფორდები და ხოლსტინკები ყოველნაირი ფერისა ბავშ. საფართუკ. არშინი დაწყებული	11 კ.	და ზევით
კრეტონები სახიანი და სადა ავეჯოულობისთ ყოველნაირი ფერ. არშინი დაწყებული	18 კ.	და ზევით
ბამბაზია ორგან. სახიანი (набивной) და სადა არშინი დაწყებული .	10 კ.	—
ფულიარები და მუსლინები ჩითები ყოველნაირი ფერისა . . .	08 კ.	—
ვიგონები ბამბეულობის ქალების კონფენქციონისთვის არშ. დაწყებული	23 კ.	—
ფარდები ცალეულათ (шторы штучные) ტიულისა ცალი . .	2 მ. 50 კ.	—
საუცხოო ფარდების ტიული (гординый) საარშინო. არშ. დაწყებ. .	35 კ.	—
იუბკები დამზადებული ქვევით, აბრეშუმ., შალების და ბამბაზ. ცალი	1 მ. 40 კ.	—
ბლუზკები ნაკერი აბრეშუმეულობის, ტიულების, შალეულობის ბამბაზიების ცალი	1 მ.	—

და აგრეთვე დიდძალი ნაჭრები საშობაო საჩუქრებისათვის.

მაღაზია ღია იქნება იაფობის დღეებში 9—1 საათამდი 3—7 საათამდი. ორშაბათს 9 დეკემბერს დაკეტილი იქნება მაღაზია მთელი დღე მოსამზადებლად.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ერი“

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის

გაზეთში ახდო მონაწილეობას მიიღებენ ნაგენში ცნობილი პუბლიცისტები, ბელეტრისტები და კრიტიკოსები.

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	7 მანეთი.
ნახევარი წლით	4 მანეთი.
ერთი თვით	4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . .	1 შაური.

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მ., 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაკავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 5 მ., ნახევარ წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ.

მისამართი რედაქციისა და კანტორისა: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფულიც და სხვ. ივანოვის ქუჩა.

„რადიუმი“

ხუთშაბათიდან, 12 დეკემ. აჩვენებს ... მწარადი ქალის ვერბიცკაიას რომანიდან „...“

ბედის გასაღები.

1 ნაწილი 6 განყოფილებათ

რადგან სურათის შემენა ძალიან ძვირათ დაჯდა ამიტომ დირექცია იძულებული შეიქნა ფასები მოემატებია.

ადგილების ფასი:

ადგილი ლოჟაში—4 აბაზი; 1 რიგი—3 აბაზი, 2 რიგი—2 აბაზი, 3 რიგი 6 შაური

ბილეთები სეანსებით იყიდება, ადგილების რაოდენობა განსაზღვრულია. დაახლოებით სეანსების დასაწყისი: 1—5 საათზე, 2—6 საათ. 45 წ. 3—8 1/2 ს. 4—10 საათსა და 15 წუთზე. უფასო კონტრამარკებით არავის უშვებენ, მოსამსახურე პირთ გარდა.

კვირსა, 15 ამა დეკემბერს, მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ახლათ გადაცვალებულის თავადის,

გოსტანტინე ივანეს მის აბაშიძის,

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძმისწულები ეკატერინე გიორგის ასული ერისთავისა და კიტა (ივანე) გიორგის ძე აბაშიძე.

ვინ დარჩა გამარჯვებული?

პოლონეთში საქალაქო თვითმართველობის შემოღების შესახებ სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილების გამო, სთქვეს, რომ ამ გადაწყვეტილებამ „არამც თუ პოლონელები დაამარცხა, არამედ რუსეთის სახელმწიფოებრივი გონიერება ძირს დასცა“. სრულის ანალოგიით შეიძლება იგივე ითქვას თფილისის პოლიტეხნიკუმის გამო გადაწყვეტილების შესახებ. ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ოფიციალურ „კავკაზს“, რომ აქ არც ქართველების დამარცხებაზე შეიძლება ილაპარაკოს კაცმა, არც სომხების გამარჯვება იდღესასწაულოს.

აქ ერთია ყველასთვის ცხადი და უეჭველი, რომ „რუსეთის სახელმწიფოებრივი გონიერება“ დარჩა დამარცხებული. აქ ერთია ყველასთვის ნათელი, რომ „რუსეთის სახელმწიფოებრივი გონიერება“ იმავე წერტილზეა გაყინული, რომელზეც იგი იყო ძველი რეჟიმის დროს. ათასგვარმა კატასტროფამ მას ვერა შეაგნებინა და ვერა შეასწავლა რა.

განაპირა ქვეყნებში ამ ძველი რეჟიმის „სახელმწიფოებრივი გონიერება“ იმაში გამოიხატებოდა და გამოიხატება ყოველთვის, რომ აწარმოებს ერთი ერის მეორეს შესევას, გადაკიდებას, ერთი ხალხის მეორე ხალხზე ამხედრების პოლიტიკას. ამ პოლიტიკას არავითარი სარგებლობა არ მოუტანია, თუმცა ნაყოფიერი ყოველთვის ყოფილა... ნაყოფი და სარგებლობა მოგეხსენებათ არა ყოველთვის არის მჭიდროთ დაკავშირებული. „ყოველმან ხემან ხენუშმან ნაყოფი ხენეში გამოიღოს“. ამ „გონიერებას“ არც პოლიტეხნიკუმის საგნის გადაწყვეტაში ქონია აზრათ რაიმე სახელმწიფოებრივი სარგებლობა, უნდოდა ერთი ერის გული მოეგო სხვისის შეურაცხყოფითა და აუგათ ხსენებით, შეაძლოა ესეც არ უნდოდა, სურდა ორ ერთა შორის შუღლი ჩამოეგდო, გაბოროტება გამოეწვია და ამას, თითქმის, სავსებით მიაწია. დაუფარავი სურვილი ამგვარის „ნაყოფისა“ იმდენათ ძლიერი იყო, რომ „სახელმწიფოებრივი გონიერება“, ჩვეულებრივი გარეგანი სიდინჯეც კი დაავიწყა და უცნაური პოლემისტობა აკისრებია: არ გახსოვთ სახელმწიფო საბჭოშიც ისე არ მოხდა, როცა პოლონეთის საკითხი ირჩეოდა: გურკომ მინისტრთა თავჯდომარეს კოკოვცოვს „პროვოკაცია“ მიახალა პირში და ვიტემ ამ გაუსწორებელმა ჯამბაზმა თავისი ძველი მეგობარი და ამხანაგი უსუსურათაც კი მონათლა. შეინძრა ვირთხები ნიადაგ დაღვრემილისა და მოღუშულის სერიოზულის კრებულისა და მის კედლებში გაისმა არაჩვეულებრივი კილო ლაპარაკისა. რუსის ბიუროკრატთა ოფიციალურ დოკუმენტში იშვიათად შეხვდებით ისეთს ჰანგს უცნაურსა და შეწუნარებულს, რომელიც აწ „ცნობილ, ისტორიულ რეზოლუციაშია“. ეს სავსებით გასაგებია, როცა „სახელმწიფოებრივი გონიერება“ რყევაშია და დაცემის გზას ადგია, მას სადღა აქვს დრო ჯენტლმენური და მაღალოფიციალური მანერები შეინარჩუნოს, აქ თავისთავათ ცხადია, ერთგვარმა ჟარგონმა უნდა წამოყოს თავი.

დარჩა თუ არა ბერძენი და მოედანი სომხის პლუტოკრატიას, გაიმარჯვა თუ არა მან? არა მგონია. სომხის პლუტოკრატიამ „რუსეთის სახელმწიფოებრივი გონიერების დაცემას“ ხელი შეუწყო, ამაში შესაძლოა მას სარგებლობაც მოეტანოს მათთვის, ვისაც უპირებდა ორმოში გადაჩეხას. მაგრამ არც იმას დააყარა კეთილი, ვისის სუფრის ნაფინჩხით იკვებება. რა მოიგო მან? არაფერი. გარდა იმისა, რომ გული დასწყვიტა მთელ ერს, გული აუმღვრია თავის წინააღმდეგ, უიმისოდაც ჩატეხილ ხიდს კიდევ ერთი წერაქვი დაკრა, უიმისოთ გათხრილ ორმოს ერთი ნიჩაფი სილრმე კიდევ მოუმატა. ეს კიდევ არაფერი, სომხის პლუტოკრატია, რომელიც სომხების საუბედუროთ და ჩვენდა სამწუხაროთ, ერთადერთი მოძრავი ელემენტია ამ ერისა—ისეთ გზას დაადგა, რომელიც ამ ერის საზოგადოებრივ აზრს გაკოტრებას უქადის, როდესაც მთელი ერი, ან მისი რომელიმე ძლიერი გაბატონებული ნაწილი თავის იდეალათ ისახავს ფეხთამლოკობას იმისათვის, რომ მას გაუცინონ სალონებში, მაშინ როდესაც მისი მეზობელი არც კი ეკარება ამ სალონებს—ეს არც თუ დიდი გამარჯვებაა სალონის პოლიტიკისა და გარდა ამისა გამოფიტვაა პოლიტიკურ-საზოგადოებრივის აზრისა, რომელიც არ შეიძლება კატასტროფით არ დამთავრდეს. იყო დრო როცა ქართველმა თ.-აზნაურობამ მთელი თვისი ძალი და ღონე ეკონომიური და პოლიტიკური მაგას შეალია და დღეს რასა ვხედავთ — შესაბრალის სურათს ამ წოდებისას, რომელსაც კარისკაცობა ახადეს, გამოსწოვეს ყოველივე ძალი და ღონე და ვითა დაძველებული, ხანს გადასული ნივთი გადაისროლეს ნაგავის ყუთში.

საბედნიეროთ ქართველი ერის კულტურა მეტათ ძლიერი იყო და თვითვე შექმნა თავის შუა ძლიერი ელემენტები, რომელნიც ამ პოლიტიკის უგულებელყოფას იმ თავითვე ხედავდენ და თვითვე შექმნა საზოგადოებრივი აზრი, პოლიტიკური აზრი, რომელიც მიუცილებელია ყოველი ერისთვის, რომელსაც კი სიცოცხლე უნდა.

ხოლო იმასვე ვერ ვხედავთ ჩვენ სომხებში. სამწუხაროთ აქ ხალხის დემოკრატიულ ელემენტს სძინავს, ანა და განუვითარებელია, მოუმწიფებელია და ან სულ გულგრილათ უყურებს მისი „პლუტოკრატიის“ მამალყანწობასა და თავხედობას, ანა და „ბალი აღას“ ეუბნება

რაკი მიაჩნია სასახელოთ მთელი ერისა, ის რაც დაბოლოს ამ ერის მავნებელია და დამღუპველი. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

ყოფილი მთავარმართებლის თ. გალიცინის პოლიტიკა იმავე ხაზს ადგა, როგორც ახლანდელი კავკასიის ადმინისტრაციის პოლიტიკა, იმ განსხვავებით კი, რომ თუ მაშინ სომხები იყო ამოღებული ნიშანში, დღეს ქართველებია.

თ. გალიცინს თავისი პოლატიკის გაგამომსახველი პუბლიცისტიკა ყავდა ბ. ველიჩკო, რომელმაც ქართველებშიც ცოტა არ იყოს არევ-დარევა შეიტანა.

მოგეხსენებათ თ. გალიცინმა ნაკარტუტი აუყენა სომხებს. წარმოიდგინეთ ახლა, რომ გამოსულიყვენ ქართველები და ოვაციები გაემართათ თ. გოლიცინისათვის და მის ზომებს ტაშისცემათ შეხვედროდა. შეიძლება იყვენ ასეთი ქართველებიც, მაგრამ რომ მათსა და ქართულ დემოკრატიას შორის სრული წინააღმდეგობა სუფევდა, ეს იქიდან მტკიცდება, რომ ქართულმა დემოკრატიულმა ნაწილმა ნამდვილი ომი გამოუცხადა ასეთ პოლიტიკას. რომ ეს ასე არ ყოფილიყო და ქართველ საზოგადოებას კვერი დაეკრა თ. გოლიცინის პოლიტიკისათვის, თუგინდ იმის ნახევრათაც, რასაც სომხის პლუტოკრატია კისრულობს (ხალხი, დემოკრატია კი სდუმს, ასე რომ ისეთი სახე აქვს თითქო მთელი ერი მოქმედობდეს ამ პლუტოკრატიის სახით), მაშინ მერწმუნეთ მათი საეკლესიო მამულების კითხვაც იმ მდგომარეობაში იქმნებოდა, როგორც ქართული საეკლესიო მამულებისა და საზოგადოთ ქართული ეკკლესიისა. ამავე გარემოებაში სომხები დღეს სულ სხვა გვარათ იქცევიან და ვის სასარგებლოთ ეს არ ვიცით?

სომხებმა უნდა შეიგნონ ისე, როგორც ქართველებს ეს შეგნებული აქვთ, რომ არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს ერთ ერს მეორე მოასპობიოს და მის პარტახზე გააბატონოს. ეს ოცნებაა. არც ერთმანეთს შორის შუღლი და მტრობა მოუტანს რასმე ამ ერს. ნამდვილი ომიც, რომ გამოცხადდეს მათ შორის ვერც ქართველებს გარეკავს ვინმე კავკასიიდან და ვერც სომხებს. მათი გადაკიდება, მათი ნიადაგ ერთმანეთში კინკლაობა კი უეჭველია ვიღაცასთვის სასარგებლოა. იმ ვიღაცასთვის, რომელიც ლეშით იკვებება. თორემ „სახელმწიფოებრივი გონიერება“ აქიდან ვერაფერს მოიგებს. სომეხ-ქართველთა შორის და მოკიდებულების გამწვავება კი ორთავ ერის პოლიტიკურ აზროვნებას განსაცდელში აყენებს და ამ ორ ერთა პოლიტიკურ განვითარებას აფერხებს. ეს უფრო საშიშარია სომხებისათვის, ვიდრე ქართველი ერისათვის: მაგნაირი „გაზაფხული“ ქართველმა ერმა გაიარა და დიდი ეკონომიური ძალაც შესწირა სალონებში რევერანსებს. მაგგვარი მიმართულება არავის გაკოტრების მეტს არას უქადის, ქართველები კი უბედურებაში გავლილი და გამოჭეხრაკებული არიან. რა დიდი კულტურული ძალაა მასში ეს ჩვენ ხალხის მოძრაობის ხანამ დაგვანახა. ამიტომაც არის რომ ბიუროკრატია კბილთა ღრჭენით უყურებს ქართველობას,*)

*) ნურც იმას იფიქრებენ სომხები, რომ ქართველებს ამ მოძრაობას დრო არ ეკისრებათ ავანგარდობა და კავკასიაშიც მოძრაობას ცეცხლი არ გაეჩაღებათ, სომხებს ვინმე საეკლესიო მამულებს დაუბრუნებდა.

დღიური.

— ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გენადიევი სამსახურიდან გადადგა.

— ოსმალეთის მინისტრთა საბჭოს განკარგულებით დააპატიმრეს პარიზში ელჩათ ნამყოფი მუნირ-ფაშა.

— სტამბოლის გაზეთებს რუსეთის წინააღმდეგ წერა აუკრძალეს.

— იუსტიციის მინისტრი ქალების იურიდიულ ფაკულტეტზე მიღების წინააღმდეგია.

— ბულგარეთში მიწის მომქმედთა პარტიის წევრთა კონგრესმა გადასწყვიტა პარტიის წევრებს ფერდინანდის სასახლეში შესვლა ნამდვილი კონსტიტუციის შემოღებამდი აეკრძალოს.

— კიევში ამერიკელ ჟურნალისტთა ბინები გაჩხრიკეს. ეძებდენ ბეილისის მემუარს. მემუარი ამერიკაში გაეგზავნათ უკვე.

ამავე მოძრაობამ გვაჩვენა, რომ სომხები პოლიტიკურ აზროვნებაში ჩამოტრჩნილი ხალხია—და ამიტომაც არის, რომ ბიუროკრატია მას თავზე ხელს უსვამს. სომხებისათვის ეს საშიშარი მომენტია და არაფერს კარგს მას არ უქადის. თუ ქართველებს ბიუროკრატიული წესები ებრძვიან და დამხმარეთა და მოკავშირეთ სომხის პლუტოკრატიას მიმართვენ ეს არაფერს იმის მეტს არ ამტკიცებს, რომ ქართველი ერი კულტურულათ მაგარი და ძლიერი ხალხია და რომ მასთან ბრძოლა საჭიროა. თუ სომხებს (მათ პლუტოკრატიას) ელოლიავებიან, იმიტომ კი არა თითქო ვინმე მისი ძალის წინ ქედს იხრიდეს, არამედ იმიტომ, რომ მათში ბიუროკრატია არავითარს საშიშარს არ ხედავს და ხედავს რომ დღეინდელ ძალთა განწყობილებაში კავკასიის ერებში ეგენი უფრო საიმედოა ძველი რეჟიმის დამცველთათვის. ეს დოკუმენტალურათ აღსარებულია უქვეშევრდომილესს მოხსენებებში. ამგვარი გზა სომხების წინააღმდეგ აამხედრებს მთელი რუსეთის დემოკრატიასაც, რომელსაც ჯერ კარგათ არ აქვს სომხის პლუტოკრატიის როლი გათვალისწინებული. ეს უნდა შეიგნონ სომხებმა და თავის მდგომარეობას ჩაუკვირდენ. თავისი პოლიტიკური დაქვეითება შეიგნონ. ჩვენთან ბრძოლას იგინი ტყვილათ ალეენ ენერგიას, რომელსაც უკეთესი მიზანი უნდა დაუსახონ, თორემ ქართველები ვერ მოსპო ვერც შაჰაბასმა, ვერც მაჰმედ—ხანმა, მას ვერ მოსპობს ვერავითარი სხვანაირი გამოცემა სხვადასხვა ხანებისა.

ამ უსიამოვნო—ინციდენტში კი ჩვენი საზოგადოებრივი გონიერება, ჩვენი კულტურული ძალა უნდა მოვიხმაროთ და სომხებს თავისი მდგომარეობა შევაგნებინოთ და აღვიაროთ, რომ ამ ორ ერთა შორის ჩამოგდებული შუღლი საშიშარია ჩვენის კულტურული ზღისათვის. ჩვენი ენერგია ისეთ აბდა-უბდაზე არ უნდა დავკარგოთ, როგორც სომხებთან კინკლაობაა ჩვენ ჩვენს პოზიციაზე მაგრათ უნდა ვიდგეთ და ნერვების აშლამ ვისმე უტაკტობის გამო არ უნდა შეგვირყვნას ჩვენი კეთილ-ნაყოფიერი გზა კავსასიის ერთა შორის სოლიდარობის დამყარებისაკენ. ამ.—ამ.

ქართული პრესა.

„სახალხო გაზეთის“ 12 დეკემბრის ნუმერში შემდეგი საინტერესო წერილია მოთავსებული თ. ღლონტის მიერ დეპუტატი ვ. გელოვანის შესახებ; იგი ეხება გელოვანის სიტყვას სათათფიროში ქალაქთა უძრავ ქონებათა დაბეჟვის შესახებ და ამბობს:—

„გელოვანი'მე განსაკუთრებით მაინტერესებდა და ამიტომ მეტათ ყურადღებით ვეექცეოდი ყოველ მის მოქმედებას. ხსენებული საგნის თაობაზე ამ დღეს გელოვანი ორჯერ გამოვიდა ტრიბუნაზე და მისი სიტყვის ბოლო მემარცხენეთაგან ტაშით იქნა დაჯილდოებული. თვით ლაპარაკი და ორატორული ხერხი გელოვანის სტიქიას შეადგენს. ხმა მისი ნაზია და საამო, მაღალი და მკაფიო. ვით ქართველი, იგი ტემპერამენტის, გრძნობის, ერთი სიტყვით, ემოციის ჭეშმარიტი განმცდელია, ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ თავის სასპეციალო საგნებზე და ჩვენი ყოფა-ცხოვრების დუბჭირ მოვლენებზე ის წარმოსთქვამს დიდათ დამაფიქრებელსა და გონებათა გამახალისებელ-გამშლელ სიტყვებს. დიდი დრო არ არის, რაც იგი სახელმწიფო სათათფიროში მოღვაწეობს. მაგრამ ამ დროშიც იგი უკვე სათათფიროს ძველ დეპუტატს მოგაგონებთ, გამოცდილს, გამოწრთობილს. ამიტომ გელოვანის თვით ყოფაქცევაც, მოქმედება სრულიად თავისუფალია, მის ყოველ ნაბიჯს ბეჯითობისა და ღრმა რწმენის დაღი აზის.

მაგრამ სახელმწიფო სათათფიროში დეპუტატის მთავარი მოღვაწეობა ორატორობაში როდი არის ჩამარხული. სათათფიროში მეტათ მძიმე ის „ყრუ“ საკანონმდებელო მუშაობაა, რომელსაც გარეშე ხალხი ნაკლებათ ამჩნევს, განა თუ ხალხის წარმომადგენელი ვარგისიანია, ფხის და ცნობიერების გამოჩენა შეუძლია—იგი ბუნებრივათ ხდება აუარებელ საქმეების მესვეურათ. ჩვენი დეპუტატი—ვარლამ გელოვანი ამ პოზიტიურ მუშაობაში ერთი ენერგიული დეპუტატთაგანი არის მთელს სახელმწიფო სათათფიროში. არიან პიროვნებანი, რომელნიც ადამიანის არსებაში ვერ იღძრავენ კეთილწყობას, სიმპატიას და მით თავის გარშემო ვერ ამყარებენ ცხოველყოფას, სიცოცხლეს. დეპუტატი ვარლ. გელოვანი ამ მხრით პირდაპირ ბედნიერი ადამიანია, იგი მეტათ საზოგადოებრივი პიროვნებაა, რომლის გარშემოც ბუნებრივათა და თავისთავათ იქმნება და ცხოველდება სიცოცხლე, ცხოვრება. ამ დღეს (3 დეკემბერს) იგი სათათფიროში შრომის ჯგუფის სულის ჩამდგმელი იყო, მოუსვენარი, საქმიანი, ენერგიული. ამ მხრივაც ფრიად სიმპატიური პიროვნებაა იგი, ჩაჭრილია მრავალ კომისიათა მუშაობაში და თავისი მხურვალე მონაწილეობით ყოველ კრებაში იგი პირნათლათ ემსახურება თვით იდეას სახალხო საქმეების სამსახურისას. თან—თავის აზრიანი მუშაობით, იგი დიდ გავლენას ახდენს მრავალ კანონპროეკტის სვე-ბედზე, მით უფრო, თუ იგი კანონპროეკტი ეხება ჩვენს სამშობლოს და ჩვენს მშობელ ხალხს.

ილია და აკაკი.

გლეხის შვილის სიმღერა.

ილია და აკაკი, აკაკი და ილია,
ამ სახელთა მოსმენა, ჩემთვის თაფლზე ტკბილია!

—

ვენაცვალე მათ ნაწერს, ნათლით შემოსილია,
მათგან გამოვფხიზლდი მე, გლეხიკაცის შვილია!

—

ვსცანი თავი, ქვეყანა, დავგმე მუდმივ ძილია,
მოვითხოვე მზაგვრელთგან, რაც ჩემი კუთნილია!

—

მოვითხოვე ცხოვრება, თავისუფალ-ხსნილია,
დამონება აწ ჩემი, ვიტყვი, რომ სულ ტყვილია!

—

ილია და აკაკი, აკაკი და ილია,
ამ სახელთა მოსმენა, ვისთვის არ არს ტკბილია?!.

—

ვისთვისა და იმისთვის, ვინც მაშვრალთა მტერია!
და ვის დროშა-ალამზე ბორეტება სწერია!

ვინმე დვალი.

ვსარგებლობ შემთხვევით, რომ ალვნუსხო საზოგადოთ ჩვენი დეპუტატის მდგომარეობა. უეჭველათ, მდგომარეობა ჩვენი დეპუტატისა **ყოველ დეპუტატზე** გაცილებით რთულია და მძიმე, ძნელი. იქ, სადაც მთელი კოლეგიის ყრუ შრომაა საჭირო, გელოვანი იძულებულია მარტოთ-მარტო გამოვიდეს, დაიცვას და განავითაროს განსაზღვრული პოლიტიკური კურსი. ამ მძიმე, რთულს საქმეში იგი ერთადერთი ადამიანია!

ახალი ამბავი.

ქუთაისის ქალაქის საბჭომ სხვადასხვა ფირმას ასეთი განცხადება გაუგზავნა: —ქალაქის საბჭომ 2 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა, რომ აიღოს **3,026,200** მანეთის **5** პროცენტიანი საობლიგაციო სესხი **49** წლის ვადით ქუთაისში წყალსადენის გაყვანის, გიდროტეხნიკური სადგურის დაარსებისა, ელეკტრონით განათების, ტრამვაის გამოყვანისა და კანალიზაციის საჭიროებისთვის. ტეხნიკური პროეკტი და დაწერილებითი ხარჯთაღრიცხვა ხსენებული საქმეების შესახებ ქალაქის საბჭოს ჯერ არ შეუმუშავებია. საბჭომ ეს გადაწყვეტილება გამგეობის მოხსენებით მიიღო. საბჭო გაცნობებთ, რომ ქუთაისში ამ ჟამათ მცხოვრებთა რიცხვი 60 ათასამდია. ქალაქს ძალიან მცირე ვალი აქვს. ქალაქის წლიური ბიუჯეტი ნახევარ მილიონ მანეთს უდრის. უძრავი ქონების ღირებულობა ოთხ მილიონ მანეთს აღემატება. სესხათ აღებული სამი მილიონი მანეთი მისივე შემოსავლით დაიფარებაო".

✦ ქალაქის გამგეობა ამ მოკლე ხანში შეუდგება ძველი ხონის გზაზე მდინარე ოლასკურის ხიდის კეთებას, რომელიც ინჯინრის გამოანგარიშებით 111 მანეთი დაჯდება.

✦ ქუთაისის ქალაქის თვითმართველობამ ექვსი თუმანი მისცა მასწავლებელ ქალს ა. ბერეკაშვილის ასულს, რომელიც პეტერბურგს მიემგზავრება მასწავლებელთა კრებაზე დასასწრებლათ.

✦ მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს ქალაქის თეატრში ბავშთა მზრუნველი საზოგადოების სასარგებლოთ რუსულ-ქართული წარმოდგენა იმართება.

✦ ქუთაისში თოვლი დადნა, ორი დღეა წვიმს, ქალაქის განაპირა ქუჩებზე ტბებია დამდგარი. ქვარიანის ქუჩის მცხოვრებნი შევიწროებას განიცდიან, რადგან ამ ქუჩით სიარული წყლების გამო შეუძლებელი გახდა.

✦ უმაღლესი ბძანებით, თანახმათ თხოვნისა, თანამდებობიდან გადადგა მეფის მოადგილის თანაშემწე სენატორი ვატაცი. მის ნაცვლათ უმაღლესივე ბძანებით მეფის მოადგილის კანცელარიის დირეკტორი გოფმეისტერი პეტერსონი დაინიშნა.

✦ 9 დეკემბერს დაპატიმრებულებმა დეპუტატ ჩხენკელს დახმარება სთხოვეს.

✦ ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა ოქმი შეუდგინა მეფურნე რასიმ ალანდარ-ოღლის, პურის უსუფთაოთ გამოცხობისათვის, მას თფილისის ქუჩაზე აქვს ფურნე და ეს უკვე მესამეთ აჯარიმებენ უსუფთაობის გამო.

✦ ქუთაისის სამიწისმოქმედო სამართველომ ნაზარეთოვისას ნება მისცა ართვინის ოლქის სოფელ ავნვში რკინის მადნეულობის დამუშავებისა.

✦ როგორც გაზეთები იუწყებიან ბათომსა და სოხუმში დიდი თოვლი მოსულა. სოხუმში ზღვის ღელვას სამი მეზღვაური უმსხვერპლია, რომელთაც ქალაქში სანოვაგის საყიდლათ გამგზავრება განუზრახავთ.

✦ მომავალი წლის დეკემბერში თფილისში კავკასიის კოოპერატორთა საზოგადო კრება იქნება მოწვეული.

✦ საღამე ბეჟანის ასულს გურგენიძისას 2 ათასი მანეთი შეუწირავს თფილისის ქართული გიმნაზიისათვის ვიმნაზიის ეკლესიის დასასრულებლათ.

მოწერილი ამბავი.

ს. **გორდი.** (ოდიში) წარსული ნოემბრის შუა რიცხვებში, ადგილობრივი ვამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობას რევიზია გაუკეთა წვრილი კრედიტის ინსპეკტორმა ნ. ფომენკომ. კრედიტის საქმეები თავის რიგზე ნახა და ძალიან კმაყოფილი დარჩა; მას კრედიტის გამგეობამ თხოვნით მიმართა—ეხოვა კრედიტის გაფართოება, ვინაიდან გძელვადიანი თანხის 200 მანეთი არ აყმაყოფილებს ამხანაგობის მოთხოვნილებას, ბატონი ფომენკო ამხანაგობას შეპირდა შვამდგომლობას ვისთან ჯერარს—მიეცეს გამსესხებელ შემნახველ ამხანაგობას გორდისას არა ნაკლები 8000 მანეთისა, მოკლევადიანი სესხი. გამგეობას. უკვე პროეკტი შეუმუშავებია, წვრილი კრედიტის საკუთარი შენობის აგებისა; დროებით ადგილობრივ სასოფლო კანცელარიაში არის მოთავსებული

შეგლარ ოსსაკა.

ალ. ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა.*)

ახალი ქართველი ქალი.

დიდი რამ არის იმედი კაცის ცხოვრებაში, და როცა მის განხორციელებას ხედავ, უდიდეს სიამოვნებას განიცდი, მით უფრო, როცა ეს ერის ბედს შეეხება. ასეთი სიამოვნება ბევრათ განსხვავდება პირადი ბედნიერების დაკმაყოფილებისაგან...—იგი გრძნობაა დიდებული, უწმინდესი, ამაფრთოვანებელი, ისეთი, რომლის ენით გადმოცემაც შეუძლებელია. რადგან ჩვენი ერის ბედი დიდათ დამოკიდებულია ქალთა წინსვლაზე, ყოველი შემთხვევა ამ მხრით უზომო სიამოვნებას განიჭებს. ეჭვი არ არის, ქართველი ქალი თანდათან იკვლევს გზას კულტურული ცხოვრებისაკენ. გაჩნდენ თითო-ოროლა, ვინც წყნარი, გაუბედავი ნაბიჯით სძლევენ დამაბრკოლებელ მიზეზებს და გვაცნობენ თავს ახალი ქალის სახელით; აზრიანი მსჯელობით გვარწმუნებენ, რომ ქართველ ერს აქვს საბუთი იფიქროს:—„აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია"...

ასეთ სიამოვნებას გრძნობდა კვირა საღამოს ჭიათურის თეატრში შეგროვილი დიდძალი საზოგადოება, როდესაც მის წინ წარსდგა ქალი და წყნარი, ბეჯითი სიტყვით გაგვიღვიძა იმედი, რწმენა, რომ ქართველ ქალს უკვე შეუგნია თავისი დანიშნულება ცხოვრებაში. მართალია, ქართველ ქალს პირველათ არ ვხედავთ საზოგადოების წინაშე:—გვყავს მემუსიკენი, მომღერალნი, მოცეკვავენი, ქველმომქმედნი ქალები, ხოლო სალი თავითა და სულით, აზრიანი სიტყვით მუშაკი ნაკლებათ, ამიტომ როცა ასეთი იარაღით შემკობილი ქალი აუარებელი აუდიტორიის წინაშე ღირსეულათ იცავს თავის ინტერესებს, ვიმეორებ, სასიამოვნო სურათია, ლამაზი, დიდებული! თითქოს აფაქიზებს მსმენელთ, ავიწყებს ყოველდღიურ წვრილმან ანგარიშებს და თავისი მთელი არსებით იმ აზრით, იმ შთაბეჭდილებით იმსჭვალება, თუ რა ძალაა მომავალი ქალის არსებაში.

მაშ, ვუსურვოთ გამარჯვება ახალ ქართველ ქალს!

მისი გამარჯვება ქართველი ერის გამარჯვებაა!.

თეოდოსია ჯაფარიძისა.

საუბარი.

იგი მოწყენილი, დაღვრემილი იყო.

— რა მოხდა, კაცო, რა დაგემართა?— დავეკითხე.

— როგორც გულითადს მეგობარს არას დაგიმალავ..—ოჯახში უსიამოვნება მაქვს...

— როგორ, ასე ადრე?!

— როგორც ხედავ.. ამ ბოლო დროს ჩემი ცოლის ხასიათში ბევრი ისეთი თვისება შევამჩნიე, რომელსაც ვერ შევურიგდები..

— არ მესმის. შენ ალბათ შეთანხმება არ გიცდია. სიყვარული უცბათ მოდის, მაგრამ თანდათანობით მტკიცდება. მასთან, მაპატიეთ გულახდილობა, და იგი ცნობილია როგორც განვითარებული, ლამაზი ქალი...

— შეიძლება, მაგრამ ყველა ამან, როგორც ხედავ, ჩვენში კეთილი განწყობილება ვერ დაამყარა.

— უფრო საკვირველია ის მოვლენა, რომ თქვენ ჯვარის-წერამდი ერთმანეთი გიყვარდათ. ეს იმის ნიშანია, რომ მაშინ თქვენ ალბათ ერთმანეთს იცნობდით?

— ტრაგედიაც აქაა, რომ მე იგი გაცნობამდის შემიყვარდა.

ჯ. ჯორჯიკია.

ბგირიბე.

ღალატი, თანამედროვე დრამა ერთ საწახავათ.

მოქმედნი პირნი:

ოთარ
ანანია
დათო
ირაკლი
ბესიკა.

— —

ოთარის ოჯახი, მდიდრულათ მორთული. ბესოია ალაგებს და თან იმღერის.

ბესიკა. ნავთლულში, თუ საბურთალოს—
ასე იძახოდა ყველა...
ოდილაა, ჰო!
ფულმა საქმე გაიტანა,
უფულობებს დაახველა!..
ოდილაა, ოდილაა ჰო!.
გაუცრუვდათ იმედები—
განზე დარჩა საბურთალო...
ოდილაა, ჰო!
ფულიანისთვის უფულო
ასე არის საბურხალო!
ოდილაა, ოდილაა ჰო!.

შემოდის **ანანია.**

ბესიკა. ოოჰ, ნუყურ, ანანია ხარ შენ?

ანანია. გაგიმარჯოს ბესოს...

ბესიკა. იცოცხლე, ჩემო ანანია მოურავო. თუ კაი ამბავი, მაინც მეიტანე, ბეჩა, რამე, თვარა კნიაზი ვერაა კაი გუნებაზე...

ანანია. რა მოხდა! ხო შინ ბძანდება?

ბესიკა. შინაა, მარა, რალა!

ანანია. მაინცა?..

ბესიკა პოლიტეხნიკუმი გეიქცა!..

ანანია. რაო, დაიქცა? ჯერ არ აუშენებიათ და დაიქცა!..

ბესიკა. არა კი არ დეიქცა—გეიქცა, მარა საბურთალოელებისთვის დაქცეული გამეკიდა... პოიებმა გეიმარჯვეს...

ანანია. პოიო ვიდა ჯანდაბებია, ოხრებია...

ბესიკა. ოხრებიკაა და ფულიც ოხრარათა აქვთ და საქმეც გეიტანეს... სუ! აგერ კნიაზი თვით მობძანდება და თვით გიბძანებს ყველაფერს...

შემოდის **ოთარ,** დაღვრემილი, ჩაფიქრებული, ვერავის ამჩნევს.

ოთარ. წყეულიმც იყოს...

ანანია. კნიაზი აღღეგრძელა ღმერთმა!

ოთარ. ოო, ანანია,—მოურავო, შენა... რა ამბავი მოგიტანია?

ანანია. თქვენი მშვიდობა... მთაში ამბავი მოვიდა—საბურთალოში პოლიტეხნიკუმი გახსნილა და ორი ვაჟი თან წამოვასხი, რო იქ მივაბარო. თანაც ორიოდ გროში ვიგულვე, მინდა იქვე ნაკვეთი ადგილიც შევიძინო...

ოთარ. (ნაღვლით იცინის) სულ ზღაპარია! წაიღეს, გაიმარჯვეს პოიებმა.

ანანია. როგორ, კნიაზო!

ოთარ. როგორ და ისე—ნავთლულე გნაცე, გნუმეს პოლიტეხნიკუმეს!..

ანანია. აი, ნავთლულში, ი სასალოში...

ახლა იქიდან არ ჩამოვიარეთ ჩემმა ბიჭებმა და მე... კინალამ ამიკლეს—ეს სად გაგვარონიე—ყარს აქაურობაო...

ოთარ. მართლა! სადა გყავს ი შენი ბიჭები?..

ანანია. აი, აქვე! (გასძახის) დათო, ირაკლი, აქ მოთ, შვილებო, იახელით კნიაზსა...

შემოდიან **დათო და ირაკლი.**

ოთარ. გამარჯვება ყმაწვილებო!

დათო და ირაკლი. გაღღეგრძელოს!..

ოთარ. სად გისწავლიათ!

დათო. კავკავის ქართული შკოლა გაგვითავებია. და ახლა მამამ წამოგვასხა, აქ პოლიტეხნიკუმში უნდა მიგვცეს.

ოთარ. უნდა მიგცესთ კი მაგრამ, ის სასწავლებელი შვილოსა, აი იქ, იმ აყროლებულ ადგილს უნდა ააგონ, თქვენ რო გამოგვივლიათ წელან...

დათო და ირაკლი. უჰ!

ანანია. ჰო, აი, იქ, თქვენ რო მიყვარეთ—ეს რა ყარს აქაობაო...

დათო. ვაი, დედი ჩემის ღმერთსა!.. მერე და გვიბძანე, კნიაზო, ერთი დავჯღავლოთ და პოლიტეხნიკუმი თავის ბალავრიანათ იქ დავდგათ, სადაც გენებებათ.

ოთარ. არა, შვილო, აქ ფულის საქმეა და არა ძალისა...

ირაკლი. ფულიც არის კნიაზო, მამამ ასი ოქრო თან წამოიღო.

ოთარ. ჰა! ჰა! ჰა! აქ მილიონები უნდა, ასზე ვინ ლაპარაკობს!..

შემოდის **ბესო** გაზეთით ხელში...

ბესიკა. ვიჰ, რა სტატიაა! წეიკითხე, ბატონო!

ოთარ. რა გაზეთია!

ბესიკა. „სიტყვა" ბატონო, ნარიძის წერილია პოლიტეხნიკუმზე... ძაან მოგცხოყე... ეს ამ საქმეს დემოკრატიული პრინციპის თვალთახედვის თვალსაზრისით უყურებს და პროლეტარული შემეცნების მიფორთხვილებით არკვევს საკითხს, ორ ელემენტათ ყოფს ბანაკს. მამულიშვილებათ და ბურჟუაზულ კლასათ და ხელსაყრელია დღევანდელ პირობებში, რო ბურჟუაზულმა კლასმა...

ოთარ. (შეწუხებული) ბესო! [illegible] შორდი!..

ანანია. (ბესოს) შენ, ე, ბატონია ხარ, თუ ვიღაც—რ[illegible]

ოთარ. დასელი, [illegible]

დათო. შ[illegible] დაიკარგე, თორემ...

ბესიკა. რა ამბავია, მამულიშვილებო!?

დათო. მამულიშვილი ვართ, მაშ! შენ ვიღასი ოხერი ხარ?..

ამ დროს უკანა ფარდა აიხდება და გამოჩნდება გვიზიანი ვაჭარი. ცალ ხელში ფულით სავსე ტომარი უჭირავს ზედ აწერია—600,000 მან., მეორე ხელში დიდი თეთრი კენჭი.

ბესიკა. (უთითებს) აი, ჩვენ ამისი ვართ!..

კვირიკე.

პატარა ფელეტონი.

სიზმარი.

— ძველი ხომალდი
იღუშება, რეაქციას სა-
ფრთხე მოელის, და
ბურჟუაზიული ვირთ-
გვებიც კარბიან...
„სიტყვა" № 11.

ეს იმ ქვეყანაში მოხდა, რომელიც ყოველი დარგისა და ყოველი „სორტის" შანტაჟისტებმა გააპროლეტარეს, ე. ი. საქართველოში. ზღვას „დემოკრატია" ეწოდებოდა, გემს „დასელი". კაპიტანი იყო, მაგრამ არც იყო: კაპიტანობდა, მაგრამ გემზე მყოფთ ყველას „აფხანიკოს" ეძახდა.

—

რვა საათი ჯერ არ შესრულებულიყო და ამაყი „დასელი" თავისუფლათ მისრიალებდა თვინიერი „დემოკრატიის" უსაზღვრო ზურგზე. კაპიტანი ნ—ძე ფიქრებს მისცემოდა: მარცხენა ხელის სალოკი თითი ცხვირში შეეყო და მარჯვენა ხელის ნეკით ყურს იკირტნიდა. გემი თფილისიდან პოლიტეხნიკუმს მიემგზავრებოდა.

— „რა მანძილზე უნდა იყოს პოლიტეხნიკუმი თფილისიდან"? შეეკითხა კაპიტანი ერთ მეზღვაურთაგანს.

— რომელი გზით გნებავთ წაბძანდეთ? თუ საბურთალოს მხრით, მაშინ შეიძლება სულაც ვერ მიხვიდეთ, რადგან საბურთალოს ქართველები სდარაჯობენ და „კონტრაბანდისტებს" მკაცრათ ეპყრობიან. თუ ნავთლულისაკენ გასწევთ და სოლოლაკით წაბძანდებით, მაშინ მალე მიხვალთ, რადგან საფრთხე არაფერი გელისთ და გზაც საადვილოა, კაპიტანი კარლო მუდამ ამ გზით დაიარებოდა.

— კაპიტანი კარლო, კაპიტანი კარლო, რა არის რომ მაინცადამაინც ყოფილი ბუხრის მწმენდელი უნდა გააკაპიტნოთ? მაგრამ ეს სულ ერთია.. მაშ, სოლოლაკით მოგზაურობა სჯობს არა?

— რასაკვირველია ბატონო! ამ მარშრუტს ერთხელ ნეტარხსენებულმა ევგენიმ უღალატა და ხომ გახსოვთ თუ კოლხეთში ვით ჩასტოვა ბედკრულმა ტყავი თვისი? ხო და სოლოლაკით აჯობებს წასვლა. სხვა რომ არა იყოს რა, ვინ იცის კაცს რა ელის, ზღვა ძნელი სანდობია ბატონო, ახლა აგერ ვართ, მაგრამ შეიძლება მეორე წუთს აღარ ვიქნეთ, ზღვას ხუმრობა არ უყვარს შენი ჭირიმე... ღმერთი რომ გასწყრეს და რამე მოგვივიდეს ნავთლულში დამარხვას მაინც მოგვიხერხებენ, ფულიანი ხალხია, სტუმართ მოყვარე, სასაფლაოც იქვეა, შენ შემოგევლოს ჩემი თავი.

— მაშ მივდივართ... ნავთლულისკენ მივდივართ... მძიმეთ წარმოსთქვა კაპიტანმა ნ—ძემ და ზღვას გადახედა...

ერთხანს ზღვის უსაზღვრო სივრცე დამშვიდებულ ძილს მისცემოდა, მაგრამ უცებ სადღაც შორს გაიელვა ვერცხლის ტალღამ, წამი და გემი შეტორტმანდა...

ქშ... ქშ... მკაცრათ დაიქშინა ზღვამ და შეიძრა... კაპიტანი ფიქრებისგან გამოერკვა, დაატყო გემი იძირებოდა... უკანასკნელი ძალღონე მოიკრიფა და მეზღვაურთ შესძახა:

— გემს უშველეთ, გემს! გემი იღუპება!.. მაგრამ უმწეო იყო კაპიტანის „სიტყვა"... მეზღვაურთა სახეს სასოწარკვეთილება ალბეჭდოდა.

გემი უკანასკნელათ შეინძრა, შეტორტმანდა, წინ გადაიხარა და...

გამომელვიძა.

—

მეორე დღეს „სიზმრის ახსნაში" ამოვიკითხე:—დასელები დაიღუპებიან, რეაქცია უმწეობას იგრძნობს, რადგან ქართველთა გადამგვარებელნი მას ბედის ანაბარათ მიატოვებენ და სოლოლაკელი ვირთაგვებიც დაიქსაქსებიან, ვინაიდან ქართულ პრესაში მოსასყიდი არავინ დარჩება.

ეზრდა.

წერილი კიევიდან.

კიევის საკომერციო ინსტიტუტთან არსებული სამეცნიერო წრის გამგეობამ, ნოემბრის ბოლო რიცხვებში განიზრახა კიევის სიძველეთა დასათვალიერებლათ ექსკურსიის მოწყობა. ამ მიზნით მან მიმართა ერთს აქაურ ისტორიკოსს ბ-ნ დ. ი. დოროშენკოს, რომელმაც სიამოვნებით გამოაცხადა თანხმობა და მსურველთ დაგვათვალიერებია კიევის სიძველენი. რამდენიმეჯერ დაგვჭირდა ერთად შეკრება სხვადასხვა დღეს, რომ მთელი კიევის სიძველე დაგვეთვალიერებია. დავათვალიერეთ მუზეუმი, სასულიერო აკადემია, ლავრა, სხვადასხვა მონასტერი, ოქროს კარები, კიევში პირველათ აშენებული სახლი და სხვ...

სასარგებლო და გამაცოცხლებელი იყო ჩვენი მოგზაურობა: მივიდოდით თუ არა ამა თუ იმ შენობასთან, ამა თუ იმ ნაშთთან, შემოვერტყმოდით გარშემო ბ. დ. ი. დოროშენკოს და ის კი, გვხედავდა რა ქართველ სტუდენტობას უკრაინის ისტორიით დაინტერესებულთ, გულდაწყვეტილათ, მაგრამ ფაქიზი გრძნობით მიუდგომლათ მოგვითხრობდა მათ ისტორიას—აქარწყლებდა ამა თუ იმ ისტორიულ ფაქტზე მრუდე შეხედულებას და ადგენდა სამართლეს. სხვათა შორის, მაზეპას შენობა რომ გვანახა და მისი დროის უკრაინის კულტურა დაგვისურათა, შეეხო მაზეპას მეთაურობით აჯანყებას და დასძინა რომ „ეს ამბოხება და ავტონომიის მოთხოვა არ იყო მარტო მაზეპას საქმე, არამედ იგი იყო გარეგნული გამოხატულება მთელი მაშინდელი ჩვენი საზოგადოებრივი მიმართულებისა“-ო.

პოდოლის დათვალიერების დროს მან აღნიშნა, რომ იგი ხშირათ განადგურებულა ხოლმე ცეცხლით და ხელახლა აშენების დროს ბევრ ყურადღებას არ აქცევდენ ძველი უკრაინის არქიტექტურის სტილის დაცვას, თუმცა მაინც საკმაოთ არის დარჩენილი დამახასიათებელი თვისებანი ძველი უკრაინის არქიტექტურისაო. დაწვრილებით გვიამბო სასულიერო აკადემიის ისტორია, თუ როგორ გარდაიქმნა იგი საერო დაწესებულებიდან სასულიეროთ და ბოლოს დასძინა „აკადემიამ ბევრი საზოგადო მოღვაწენი მოგვცა“-ო.

შეეხო აგრეთვე მთავრობის უკრაინასთან დამოკიდებულების ისტორიას, თუ როგორ სისტემატიურ პოლიტიკას აწარმოებდა და აწარმოებს იგი უკრაინის ენისა და კულტურის წინააღმდეგ, თუ როგორ ცთილობს მისი ყოველგვარი კულტურულ-ნაციონალური განცალკევებისა და თავისებურობის მოსპობას. „ჩვენ კულტურას არ აფასებენ“-ო, სთქვა მან, „გვეუბნებიან ჩვენ მოვედით და ყოველისფერი მოგეცითო და მართლა კი მოვიდენ და ყოველივე რაც გვებადა დაგვინგრიეს“-ო.

აქ შეიძლება ავწეროთ ყოველივე რაც ბ. დ. ი. დოროშენკოს ხელმძღვანელობით კიევის დათვალიერების დროს ვიგვრძენით და განვიცადეთ. სხვადასხვა საგნის შესახებ თავისი აზრის გამოთქმას შემდეგ მან ჩვენთან საუბარი შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, ვაცნობთ უცხო ხალხს ჩვენ ისტორიას, კულტურას, ვსცემთ რუსულ, გერმანულსა და ფრანგულ ენებზე ჟურნალ-გაზეთებს ჩვენი გაცნობის საშვალებას ვაძლევთ ყველას, ვინც კი ინებებს და შევნატრით ჩვენი ერის წარმატებასა და კეთილდღეობას“-ო.

ივ. ხსარგელი.

ლია ბარათი.

დაბა სამტრედიისა და ს. კულაშის საზოგადოებას.

როგორც მოგეხსენებათ ჩვენი დიდებული მგოსანი აკაკი, შემდეგ მის სახელზე გადახდილი ორმოცდაათი წლის ლიტერატურული მოღვაწეობის აღსანიშნავათ იუბილეს დღესასწაულისა, სოფლებშიაც მიიპატიჟეს და ყოველგან აფრთოვანებული შეხვედრითა და პატივისცემათ დააჯილდოვეს. მაგრამ იმას კი ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამ მხრით სოფელი მუხიანი მოგასწრებდათ. თქვენი განზრახვა შესახებ აკაკის მოპატიჟების მომავალ გაზეთულში მაინც განახორციელეთ... სამტრედიასა და კულაშის გაუოფა ამ მიზნის მისაწევათ უადგილოთ მიმაჩნია, არამედ საჭიროა დღესასწაულს რომ უფრო მეტი ელფერი მიეცეს, თქვენი ერთად შეერთება. რომ აკაკის პატივისცემა მოეწყოს და კომიტეტიც შესდგეს, ვსთხოვ სამტრედიიდამ გიორგი სიხარულიძეს, ისიდორე სტურუასა და დათიკო კვანტალიანს, კულაშიდამ თავადს მელქისედეკ დიმიტრის ძეს მიქელაძეს, მემანქანეს თედორე ბეჟანის ძეს შენგელიასა და მასწავლებელს კონსტანტინე სტურუას ქრისტეს შობის მეორე დღეს, ნაშვადღევის ხუთ საათზე, მობძანდენ სამტრედიაში გახსნილ სასწავლებლის შენობაში ამ საყურადღებო საგანზე თათფირის მოსახდენათ. იმედია, თქვენ ორივე თვალსაჩინო საზოგადოება მთელ იმერეთში თანამგრძნობელი და თავგამოდებული ყოველს კეთილ საქმეში „ჩვენს დიდებულს მამულიშვილს აკაკისაც შესაფერ პატივისცემას აღმოუჩენთ, რითაც სხვებსაც გაუღვიძებთ ეროვნულ გრძნობებს.

დარწმუნებული ვარ აგრეთვე, მომავალ თათფირში აკაკის მოპატიჟების შესახებ ახლათდანიშნულ ინსპეკტორათ პატივცემული ნიკო იოსების ძე ჩიკვაიძე მხურვალე მონაწილეობას მიიღებს და თათფირის მოსახდენათ სასწავლებლის შენობაში ერთ ოთახს დაგვითმობს. ვსთხოვ გაზეთ „მერცხლის“ რედაქციას ეს წერილი გადაბეჭდოს მახლობელ ნუმერში.

დეკანოზი ერმოლოზ კანდელაკი.

1913 წ. ს. კულაში.

ცხოვრების გაძვირება

როგორც რუსეთში, ისე უცხოეთში ცხოვრების გაძვირების საკითხი დიდ ყურადღებას იპყრობს. ეს საკითხი 1911 წელს საფრანგეთში, ბელგიასა და ავსტრიაში იმდენათ გამწვავდა, რომ იქ ხალხი გამოვიდა ბაზარზე და მოითხოვა საჭმელ სურსათზე ფასის დაკლება. მოვაჭრეები, რომელთაც ეს მოთხოვნა არ შეასრულეს, ზოგი დაარბიეს და ზოგსაც ბოიკოტი გამოუცხადეს. ქალაქის მუნიციპალიტეტები, კოოპერატივები და თვითმმხმარებლები ცხოვრების გაძვირების წინააღმდეგ ყოველგვარ ღონისძიებას ღებულობენ. ამ საკითხის ყოველმხრივ განსახილველათ განზრახულია საერთაშორისო კომისიის მოწვევაც კი. ცხოვრების გაძვირება უფრო შესამჩნევი გახდა 1905 წელს შემდეგ. მაგალითად, მოსკოვში ორმოცდამეათე წლების ნახევარში გირვანქა ხორცი 14 კაპ. ღირდა, ახლა კი 23 კაპიკათ ღირს. საფრანგეთის პურის ფასმა ხსენებული ხნის განმავლობაში 50 პროცენტით აიწია, უბრალო პურის ფასმა კი 90 პროცენტით. ეს ასეა სატახტო ქალაქში, და რაც შეეხება პროვინციას, იქ კი უფრო საგრძნობი. შეიქნა ცხოვრების გაძვირება. ცხოვრების სიძვირე მძიმე ტვირთად ეკვლინება მშრომელ ხალხს.

რუსეთში მუშა წელიწადში შრომის ფასათ დაახლოებით 250 მანეთს იღებს, გერმანიაში ხუთას, ხოლო შეერთებულ შტატებში კი ათას მანეთს. რუსეთი წარმოადგენს მხარეს, სადაც ცხოვრება ძვირია და შრომის ფასი კი მცირე. რუსეთში მუშას სხვა მხრითაც, შედარებით საზღვარგარეთელ მუშასთან, ცუდ პირობებში უხდება მუშაობა. მუშა მოთხოვნილებას ვერ იკმაყოფილებს სრულიად და ეს ჯანმთელობაზე ძალიან ცუდათ მოქმედობს.

პეტერბურგში ახლა იმდენი ხორცი არ იყიდება რამდენიც წინათ იყიდებოდა, მიუხედავათ იმისა, რომ პეტერბურგს ყოველწლივ 50 ათასი მცხოვრები ემატება. ცხოვრება გაძვირდა, შრომის ფასი გაიაფდა და ამან, გამოიწვია ხორცის მთხოვნილობის შემცირება. წინათ თვითოეული მცხოვრები წელიწადში 2, 6. ფუთ ხორცს ხმარობდა, ახლა-კი 2, 4. ფუთს. ახლა მცხოვრები პურსაც 17 პროცენტით ნაკლებს ხმარობს.

რუსეთში მოსული პური საზღვარგარეთ იგზავნება. რუსეთში მცხოვრები კი წლიდან წლამდი ნახევრათ შიმშილს განიცდის. რუსეთში ხმარობენ რუსეთში მოსული პურის უვარგის ნაწილს.

გერმანიაში ერთი მცხოვრები წელიწადში $5^1/_2$ ფუთ პურს ხმარობს, რუსეთში კი-3 ფუთს და 35 გირვანქას. რუსეთელი გერმანელთან შედარებით პურის სხვა მარცვალსაც ნაკლებს ხმარობს.

შაქარი და ჩაი რომ ავიღოთ, აქაც ჩვეულებრივ სურათს დავინახავთ. რუსი ხმარობს $15^1/_2$ შაქარს, ფრანგი 32 გირვანქას და გერმანელი 37 გირვანქას წელიწადში.

რუსეთი

კაფიტალები. მექარხნეთა საზოგადოების ცნობით გაფიცვები 1910 წლიდან ძალიან გავრცელებულა. ხსენებული წლიდან ამ წლის პირველ ოკტომბრამდი ეკონომიურ ნიადაგზე 2298 გაფიცვა მომხდარა. გაფიცვაში მონაწილეობა მიუღია 584452 პირს. გაფიცულებს არ უმუშავნიათ 5,350398 დღე. პოლიტიკურ ნიადაგზე ხსენებული ხნის განმავლობაში 2298 ჯერ მომხდარა გაფიცვა. აქ მონაწილეობა მიუღიათ 936236 მუშას და არ უმუშავიათ 954,490 დღე.

რუსეთის თავად-აზნაურობა. „რუსკია ვედომოსტში“ მოყვანილია იმის შესახებ ცნობები, თუ როგორ ეცლება ხელიდან რუსეთის თავად აზნაურობას მემული. 1862 წელს ევროპის რუსეთის 45 გუბერნიაში თავად-აზნაურებს ქონიათ 87181000 დესეტინა მამული, ათ წელს შემდეგ ამ მამულის რაოდენობა ჩამოსულა 80429000 დესეტინამდი. ეს პროცესი თანდათან გაძლიერებულა და 1907 წელს თავად აზნაურთა მამულის რაოდენობა 47925000 დესეტინამ ი დამდგარა. 1913 წლის პირველ იანვარში თავად-აზნაურთა ბანკში ყოფილა დაგირავებული 884 მილიონი მანეთის მხოლოდ თავად-აზნაურთა მამული. თავად აზნაურებს მამული სხვა ბანკებშიც ქონიათ დაგირავებული.

საყოველთაო სწავლის შემოღება. გადაწყვეტილია რუსეთში საყოველთაო სწავლის შემოღება. ამ პროექტის განხორციელება იმ გუბერნიაში, სადაც ერობა არსებობს, შვიდი ათას მასწავლებელს ითხოვს. ღღეს თავისუფალ მასწავლებელთა რიცხვი კი 4600 არ აღემატება—დაწყებითი შკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლათ 113 სამასწავლებლო სემინარია და სხვა ამგვარი ტიპის შკოლა და 129 პედაგოგიური კურსები არსებობს. ხსენებულ შკოლათა ეს რიცხვი ძალიან მცირეა და ამიტომ სახალხო განათლების მინისტრს განზრახვა აქვს 1914 წელს 21 ახალი სამასწავლებლო სემინარია გახსნას. გამოანგარიშებულია, რომ 21 სემინარიის გახსნას მოუნდება 689,834 მანეთი, აქედან 16376 მანეთი მცხოვრებლებმა უნდა გაიღოს დახმარების სახით.

კაფიტალი. პეტერბურგში 5 დეკემბერს ტარასოვის, რომერგასისა და ლანგეზინენის ქარხნის მუშები გაიფიცენ. გაფიცვის მიზანი დეპუტატ ბადაევის დაჯარიმების გამო პროტესტის გამოცხადება იყო.

სტუდენტების დათხოვა. პეტერბურგის უნივერსიტეტიდან სწავლის ფულის შეუტანლობის გამო ცხრაასი სტუდენტი გამორიცხეს.

სამთო ინსტიტუტში. ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა პეტერბურგის სამთო ინსტიტუტის დირექტორს წინადადება მისცა—ფიცხელი ზომები მიიღე იმ სტუდენტების წინააღმდეგ, რომლებიც პროფესორს კრილოვს ბოიკოტს უცხადებენო ამ საგანზე მსჯელობის დროს პროფესორებს უთანხმოება მოუვიდათ, რის გამოც სამმა პროფესორმა სხდომის დარბაზი დასტოვა.

ბეილისი. ბეილისის კინემატოგრაფის პატრონებმა ბეილისს წინადადება მისცეს კინემატოგრაფიული სურათების გადაღებაში მონაწილეობის მიღების შესახებ შრომის ფასათ ბეილის ოცი ათასი მანეთი შეაძლიეს. ბეილისმა კინემატოგრაფის პატრონებს ამ წინადადების მიღებაზე უარი უთხრა.

უცხოეთი

ინგლისის საღვდელობა. ინგლისის საღვდელეობამ ცნობილ პასტორ კომბპელის მეთაურობით ებრაელთა შეიარაღების წინააღმდეგ აგიტაცია დაიწყო.

მეღვინეები. პარიზის მახლობლათ ტრუაში მეღვინეები არეულობას ახდენენ. მათ დასამშვიდებლათ ჟანდრმებმა იარაღი იხმარეს. ორივე მხრით დაჭრილთა რიცხვი ბევრია.

ბულგარეთში. მიწისმომქმედთა კონგრესმა რადოსლავოვის კაბინეტში მონაწილეობის მიღებაზე უარი სთქვა. კონგრესზე გამოითქვა სურვილი მალინოვის ხელმძღვანელობით კოალიციონური კაბინეტის შედგენისა. მეფე ფერდინანდი სახალხო კრების გახსნას არ დაესწრება. სეფესიტყვის წარმოთქმა რადოსლავოვს დაავალეს, ცნობაა—გახსნას შემდეგ სახალხო კრებას დაითხოვენ და ახალ არჩევნებს დანიშნავენო.

პორტა და დიდი სახელმწიფოები. დიდმა ვეზირმა დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლების სომხეთის რეფორმების შესახებ პორტას აზრი მოახსენა. პორტა უცხოელის მრჩევლის დანიშვნაზე თანახმაა, ხოლო მრჩევლის კანტროლის უფლება კი არ უნდა ქონდეს. პორტა სომხეთის რეფორმებისა და სხვა საკითხებზე მოსალაპარაკებლათ წინადადებას იძლევა სტამბოლში ელჩთა თათფირი იქნას მოწვეული.

შეწირულობა. „ნოვ. ჟ“ ტოკიის კორესპონდენტი იტყობინება:—კორეიის ეხ—იმპერატორმა ლიმ თავისი საკუთარი თანხიდან გაიღო 50 ათასი მანეთი იაპონიაში ავიაციის საქმის მოსაწყობათო. ამ ფულის ნახევარი იაპონიის საბჭედრო მინისტრს გადაეცემა.

ღაბა სოფლები.

ოკრიბა. მთელს ოკრიბაში არაფერი გაგვაჩნია გარდა ხრესილის ქსენონისა, რომ ოკრიბელს ქუთაისს წასვლა არ დასჭირდეს. ამას თუ დავუმატებთ, რომ ზოგ სოფლელს ქუთაისს უფრო ეადვილება წასვლა აქიმთან, ვიდრე ხრესილს, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, როგორი მნიშვნელობა აქვს მატარებლის მიმოსვლას ტყიბულის რკინისგზაზე. აქიმსა და ქსენონს გარდა სხვა საქმეც ბევრი აქვთ სოფლელებს ქუთაისში: გასაყიდ-საყიდელი, სასამართლოში წასვლა და სხვა. ამავე რკინისგზით სასარგებლობს რაჭის ბევრი სოფელიც, მაგრამ მატარებელთა მიმოსვლა კი ძლიერ ცუდათ არის დაყენებული: ქუთაისიდან ტ-იბულს მიდის ერთი მატარებელი დილით და საღამოთი კი უკან ბრუნდება. ასე რომ, ვისაც ქუთაისში საქმე აქვს ის მაგალითად, ამაღამ უნდა ჩავიდეს ქუთაისს, ხვალ საქმეს გააკეთებს და ზეგ დილით სახლში გაბრუნდება. ერთი სიტყვით ორი ღამე ტყუილა-უბრალოთ უნდა გაათიოს ქუთაისში, რაც ძლიერ უხერხულია. ძლიერ საჭიროა, რომ დაინიშნებოდეს მეორე მატარებელი დილით ქუთაისს მიმავალი და საღამოს ტყიბულს, მით უფრო, რომ ხალხი ბევრი დადის მატარებლით. მაგრამ, როგორც საზოგადოთ სჩვევიათ ჩვენს ხალხს, თქმით კი იტყვის—კარგია ასე რომ იქნებოდესო, ხოლო ჯერი როცა საქმის გაკეთებაზე მივა, ყველა თუ არა, უმეტესი ნაწილი მაინც გულგრილათ უყურებს საქმეს.

— როგორც ამბობენ, ამ ცოტახანში ს. კურსებში გაიხსნება საფოშტო განყოფილება (20 იანვრის 1900 წლის კანონისამებ), რაც დიდათ საჭირო იყო რომ ყოფილიყო. ამდენხანს ყოველივე გასაგზავნ-მოსაღებისთვის ოკრიბელს ან ქუთაისს ან ტყიბულს უხდებოდა წასვლა, თუმც უბრალო წერილები კი შეეძლო მიეღოთ რკინისგზის სადგურებზე სამსამი კაპიკის გადახდით. ახლა კი, თუ ეს საქმე შესრულდა, დიდათ სასიამოვნოა და მადლობას ღირსია ამ საქმის ინიციატორი ბ-ნი ყორდანოვი. ამისივე განკარგულებით შეკეთდა ცოტათ თუ ბევრათ საზოგადო გზები ზოგან ახლაც არ-ს მუშაობა, კარგი იქნება, დაიწყებდენ გზებზე ხრეშის დაყრას, სადაც საჭიროა, და ამასთანვე სასოფლო გზების შეკეთებასაც.

დემონი.

დ. სამტრედია. როგორც იქნა ვეღირსეთ უმაღლესს პირველდაწყებით სასწავლებელს. ძლიერ ძვირათ დაუჯდა აქაურ საზოგადოებას მისი დაარსება, ასე ერთიმეორეზე რომ ვსთქვათ, მდიდარსა და ღარიბს საშვალოთ მოუწევს 20—30 მანეთამდი გადახთილი, მაგრამ ამის ვინ ჩივოდა, რომ საქმე ისე წასულიყო, როგორც ამას მოითხოვდა გარემოება. დაარსდა 1 და მე-2 კლასი. სწავლის ფული გააწერეს წლიურათ 30 მან. ჯერ კიდევ ამდენ ხარჯებში ჩავარდნილი გლეხი ვერ შესძლებდა, რასაკვირველია, ამ ჯამის გადახდას, რომ კიდევ მიუმატეს წელიწადში 12 მან. ქართული ენისა და ნემეცურის გადასახადი. აქ უნებლიეთ ეჭვში შევდივართ და გამბობთ: ნუთუ ქართული ენა არ უნდა შედიოდეს იმ რიცხვში, რომლისთვისაც 30 მ. იხთიან წელიწადში-?... მაგრამ რას იზამ ჩვენს დროში, ხომ ყველაფერი „თანიერებრათ“ ხთება და ჩვენც უნებლიეთ [illegible] დავმორჩილდეთ, ამგვარათ სწავლის ფული ახლა საწყალ გლეხს უწევს წლიურათ 42 მან. ამას გარდა შკოლის ინსპეკტორს მოუთხენია განკარგულება, მოსწავლეები შკოლაში „სუფთა ტანსაცმელში“ უნდა დადიოდენ, ფეხებზე „ჰოლსაპოშკებ—კალოშები“ და ტანზე კარგი ჩასაცმელები—თო: რასაკვირველია, აქ არაფერი არაა გასაკვირი, მაგრამ ერთი ვიკითხოთ. შესძლეს ყოველივე ამას კი საწყალი გლეხი?... არა. მაშ რა ქნას, რა ზომებს უნდა მიმართოს?... ისევ დარჩენია ის, რომ მოწაფე შკოლიდან გამოიყვანოს და, უსახსრობის გამო, სწავლას მოწყურებული ბავში შკოლას უნდა ჩამოშორდეს და შეურიგდეს თავის ხვეულს.—ამიტომ ბევრმა მათგანმა ახლავე—მოსწყვიტა ბავში სწავლას და სახლში ამუშავებს. რა ვქნათ, ჩვენთვის, გლეხიკაცისთვის, ამნაირი ბედი დაუწესებია ღმერთსო და ისიც სასომიხდილი—იმეორებს ამას.

— კვირას, 8 დეკემბერს, ქაურ რკინისგზის თეატრში წარმოადგინეს ბ-ნი ა. ჯაყელის რეჟისორობით ვ. აბაშიძის „ახლანდელი სიყვარული“ წარმოდგენა ძლიერი სუსტათ ჩაიარა, არა უშავდ: ბ-ნ. ჯაყელს (ჯიმფარაშვილი) კარგი იყვენ თამ. მიქელაძის ასული ნინო და ლაქია მ. ქვარცხავა, დანარჩენები პირიქით ხელს უშლიდენ ანსამბლს.

მიმავალი.

დ. კულაში (ქვემო იმერეთი). ამასწინათ შემთხვევით ამ მხარეში მომიხდა მოგზაურობა. ეს სოფელი მდებარეობს ოთხი ვერსის დაშორებით სად. სამტრედიიდან. და მიუხედავათ იმისა, რომ აქ საკმარისათ მოიპოება ინტელიგენცია, არავითარი კულტურული დაწესებულება არ არსებობს..

მაგრამ ამისთანა გარემოებას კიდევ შეიძლება შეურიგდეს ჩემისთანა ხანმოკლე სტუმარი, მხოლოდ როგორ შეიძლება შეურიგდე იმ საშიშარ გზას, რომელზეც „უჰაეროპლანოთ“ გაფლა შეუძლებელია?..

ფეხითო,—იტყვი თუ? აპაპაპ... ვერც ეტლით იგემებ, ხუთასჯერ უნდა გადახტე ეტლიდან მეეტლის განკარგულებით, რომ არ ჩაიჩხიროს ცხენები გაუგალ ჭაობში, და მით შეუმსუბუქოტვირთი. ეს კურთხეული მხარე თავადთა სამფლობელოა და ამის გამოა, რომ იგინი არ კადრულობენ გზების კეთებას. გლეხთა რიცხვი კი მცირეა. იხჩვებიან შიგ.

ნუთუ ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელთ, არ ესმისთ, რომ გზა ყველასთვის საჭიროა, როგორც გლეხებისთვის, ისე თავადაზნაურთათვის. და საჭიროა ყველამ შეერთებული ძალღონით იშრომოს სოფლის საკეთილდღეოთ.

ხეოგი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

ნება მიბრძანეთ თქვენის გაზეთის საშვალებით უღრმესი მადლობა შევსწირო იმ პირთ, ვინც ცაგერის უფასო სახალხო სამკითხველოს თავისი წვლილი შემოსწირა. შემწირველთა სახელი და გვარი:

ტერეზია შერვაშიძისამ 3 მან., სალომე მხეიძისამ 3 მან., ოლღა დადიანისამ 3 მან., მარიამ ასრიბეკოვისამ 3 მან., დგებუაძისამ 2 მან., ტასო ჩაჩიბაიასამ—2 მან., ელენე შნეიდერისამ 3 მან., თავადმა ელიზბარ მხეიძემ 1 მან., ტატიშვილმა 1 მან., და ა. შ. 3 მანეთი—1 აბაზი, 28 წიგნი „უსპენსკის“ თხზულება მიხეილ ხევსურიანმა და 98 სხვადასხვა წიგნაკი კნ. ს. გელოვანისამ.

კარგი იქნება, რომ კეთილ ინებებდენ და ჩვენს მივარდნილ მხარეს ლეჩხუმს თავისი მცირე შემოწირულობით სხვებიც მიაქცევდენ ყურადღებას და მით გააუმჯობესებდენ გაღარიბებულ სამკითხველოს

კომიტეტის მონდობილობით გამგე
სამკითხველოსი **ტ. ბეღოვანისა.**

რედაკ.-გამომცემელი **გ. ბრეგაძე.**

ელექტრო-სტამბაში ფერადისა და ალექსიოვის ქუთაისში.